

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №12
2020 წლის 26 ნოემბერი

ქ. ონი

„ონის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 26 დეკემბრის N25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ონის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 26 დეკემბრის N25 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 26/12/2019, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.118.016288) შევიდეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

შუქურა ჯაფარიძე

დანართი

თავი I

ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი			2020 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
I. შემოსავლები	6,571.6	12,786.4	8,265.3	4,521.1	17,201.0	12,361.6	4,839.4
გადასახადები	327.9	4,091.7	0.0	4,091.7	4,164.4	0.0	4,164.4
გრანტები	6,094.0	8,287.4	8,192.8	94.6	12,866.6	12,361.6	505.0
სხვა შემოსავლები	149.7	407.3	72.5	334.9	170.0	0.0	170.0
II. ხარჯები	2,992.7	3,488.4	158.9	3,329.4	4,339.3	205.8	4,133.6
შრომის ანაზღაურება	1,047.8	1,154.1	0.0	1,154.1	1,165.3	0.0	1,165.3
საქონელი და მომსახურება	955.8	1,227.9	78.9	1,149.0	1,829.5	103.8	1,725.8
პროცენტი	52.5	27.8	0.0	27.8	36.0	0.0	36.0



სუბსიდიები	710.3	761.1	0.0	761.1	853.3	0.0	853.3
სოციალური უზრუნველყოფა	112.8	181.8	80.0	101.8	200.8	51.6	149.2
სხვა ხარჯები	113.6	135.6	0.0	135.6	254.4	50.4	204.0
III. საოპერაციო საღდო	3,578.9	9,298.0	8,106.3	1,191.7	12,861.7	12,155.9	705.8
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	4,053.7	10,117.4	8,968.1	1,149.3	13,680.1	12,552.8	1,127.3
ზრდა	4,113.8	10,207.4	8,968.1	1,239.3	13,695.1	12,552.8	1,142.3
კლება	60.1	90.0	0.0	90.0	15.0	0.0	15.0
V. მთლიანი საღდო	-474.9	-819.4	-861.8	42.4	-818.4	-396.9	-421.5
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	-474.9	-847.2	-861.8	14.6	-874.0	-396.9	-477.1
ზრდა	0.0	14.6	0.0	14.6	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	14.6	0.0	14.6	0.0	0.0	
კლება	474.9	861.8	861.8	0.0	874.0	396.9	477.1
ვალუტა და დეპოზიტები	474.9	861.8	861.8	0.0	874.0	396.9	477.1
VII. ვალდებულებების ცვლილება	0.0	-27.8	0.0	-27.8	-55.6	0.0	-55.6
კლება	0.0	27.8	0.0	27.8	55.6	0.0	55.6
საშინაო	0.0	27.8	0.0	27.8	55.6	0.0	55.6
სესხები	0.0	27.8	0.0	27.8	55.6	0.0	55.6
VIII. ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი			2020 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	6,631.7	12,876.4	8,265.3	4,611.1	17,216.0	12,361.6	4,854.4
შემოსავლები	6,571.6	12,786.4	8,265.3	4,521.1	17,201.0	12,361.6	4,839.4
არაფინანსური აქტივების კლება	60.1	90.0	0.0	90.0	15.0	0.0	15.0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0



გადასახდელები	7,106.6	13,723.6	9,127.1	4,596.5	18,090.1	12,758.6	5,331.5
ხარჯები	2,992.7	3,488.4	158.9	3,329.4	4,339.3	205.8	4,133.6
არაფინანსური აქტივების ზრდა	4,113.8	10,207.4	8,968.1	1,239.3	13,695.1	12,552.8	1,142.3
ვალდებულებების კლება	0.0	27.8	0.0	27.8	55.6	0.0	55.6
ნაშთის ცვლილება	-474.9	-847.2	-861.8	14.6	-874.0	-396.9	-477.1

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 17,201.0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი			2020 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	6,571.6	12,786.4	8,265.3	4,521.1	17,201.0	12,361.6	4,839.4
გადასახადები	327.9	4,091.7	0.0	4,091.7	4,164.4	0.0	4,164.4
გრანტები	6,094.0	8,287.4	8,192.8	94.6	12,866.6	12,361.6	505.0
სხვა შემოსავლები	149.7	407.3	72.5	334.9	170.0	0.0	170.0

მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს 4,164.4 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი			2020 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	327.9	4,091.7	0.0	4,091.7	4,164.4	0.0	4,164.4
საშემოსავლო გადასახადი	34.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
დამატებითი ღირებულების გადასახადი	0.0	3,882.1	0.0	3,882.1	3,964.4	0.0	3,964.4
ქონების გადასახადი	293.7	209.5	0.0	209.5	200.0	0.0	200.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	264.9	186.4	0.0	186.4	192.0	0.0	192.0
უცხოურ საწარმოთა							



ქონებაზე (გარდა მიწისა)	0.2	0.3	0.0	0.3	0.0	0.0	0.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	2.6	2.5	0.0	2.5	0.0	0.0	0.0
სასოფლო სამეურნეო ნიშნულების მიწაზე	9.7	9.3	0.0	9.3	1.0	0.0	1.0
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	16.3	11.1	0.0	11.1	7.0	0.0	7.0

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 12,866.6 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
გრანტები	3,141.6	8,287.4	12,866.6
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	0.0	0.0	34.0
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	3,141.6	8,287.4	12,832.6
გათანაბრებითი ტრანსფერი	0.0	0.0	0.0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	103.0	186.6	480.5
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად	0.0	0.0	400.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი მათ შორის:	3,038.6	8,100.8	11,952.1
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან	2,630.2	6,213.2	11,314.1
მაღალმთიანობის პროგრამა	328.4	1,224.8	0.0
მთავრობის სარეზერვო ფონდი	80.0	54.8	0.0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0.0	608.0	638.0

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 170,0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	149.7	407.3	170.0
შემოსავლები საკუთრებიდან	93.6	122.7	90.0
პროცენტები	45.1	44.9	40.0



დივიდენდები	0.0	0.0	0.0
რენტა	48.4	77.9	50.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	12.8	16.7	15.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	12.7	16.6	15.0
სანებართვო მოსაკრებელი	5.3	7.6	5.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	7.4	9.0	10.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	0.1	0.1	0.0
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	24.6	112.8	40.0
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა	0.0	0.0	0.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	18.7	155.1	25.0

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით
 ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 4,339.3 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი			2020 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	2,992.7	3,488.4	158.9	3,329.4	4,339.3	205.8	4,133.6
შრომის ანაზღაურება	1,047.8	1,154.1	0.0	1,154.1	1,165.3	0.0	1,165.3
საქონელი და მომსახურება	955.8	1,227.9	78.9	1,149.0	1,829.5	103.8	1,725.8
პროცენტები	52.5	27.8	0.0	27.8	36.0	0.0	36.0
სუბსიდიები	710.3	761.1	0.0	761.1	853.3	0.0	853.3
გრანტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	112.8	181.8	80.0	101.8	200.8	51.6	149.2
სხვა ხარჯები	113.6	135.6	0.0	135.6	254.4	50.4	204.0

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 13,680.1 ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა - 13,695.1 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება -15.0 ათასი ლარით:

ათას ლარში



პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	51.4	140.0	18.4
01 01	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	51.4	140.0	18.4
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	0.0	0.0	0.0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	4,062.5	9,843.6	12,956.8
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2,366.1	4,686.3	4,564.7
02 02	წყლის სისტემების განვითარება	62.3	138.9	1,409.4
02 03	გარე განათება	29.6	25.5	22.8
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	0.0	0.0	241.0
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	716.9	2,570.2	2,075.4
02 06	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	0.0	0.0	568.4
02 07	სოფლის პროგრამის მხარდაჭერა	0.0	652.3	738.0
02 08	სანიაღვრე არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	887.6	1,770.4	3,337.1
02 09	მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარება	0.0	0.0	0.0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	0.0	0.0	0.0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	0.0	0.0	0.0
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	0.0	0.0	0.0
03 03	უპატრონო ცხოველების თავშესაფარში გადაყვანის ღონისძიებები	0.0	0.0	0.0
04 00	განათლება	0.0	215.8	720.0
04 01	სკოლამდელი განათლება	0.0	0.0	0.0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	0.0	0.0	315.8
04 03	განათლების ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა	0.0	215.8	404.2
04 04	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	0.0	8.0	0.0
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	0.0	3.0	0.0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	0.0	5.0	0.0
05 03	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	0.0	0.0	0.0
05 04	მოსწავლე ახალგაზრდობის ღონისძიებების დაფინანსება	0.0	0.0	0.0
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	0.0	0.0	0.0



06 02	სოციალური უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	4,113.8	10,207.4	13,695.1

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	60.1	90.0	15.0
ძირითადი აქტივები	47.8	41.8	10.0
მატერიალური მარაგები	3.0	11.6	0.0
არაწარმოებული აქტივები	9.3	36.6	5.0
მიწა	9.3	36.6	5.0

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რეადაქციით:

ათას ლარში

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1,627.9	1,869.1	1,907.6
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1,622.4	1,863.6	1,902.1
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1,622.4	1,863.6	1,892.7
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	0.0	9.4
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0.0	0.0	0.0
7.1.8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	5.5	5.5	5.5
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	2,461.7	5,450.5	5,580.7
7.4 5	ტრანსპორტი	2,461.7	4,798.2	4,812.7
7.4 5 1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	2,461.7	4,798.2	4,812.7
7.4 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	0.0	652.3	768.0



7.5	გარემოს დაცვა	1,192.0	2,095.8	3,777.1
7.5 1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	254.7	306.0	350.0
7.5 2	ჩამდინარე წყლების მართვა	907.6	1,786.8	3,367.1
7.5 3	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	29.7	3.1	60.0
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	969.0	2,958.3	4,854.0
7.6 1	ბინათმშენებლობა	0.0	0.0	552.9
7.6 2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	718.1	2,643.2	2,668.9
7.6 3	წყალმომარაგება	64.8	143.4	1,409.4
7.6 4	გარე განათება	186.1	171.8	222.8
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	37.8	37.2	41.7
7.7 4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	37.8	37.2	41.7
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	532.1	597.3	586.4
7.8 1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	137.5	149.2	142.0
7.8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	356.2	401.9	404.4
7.8 4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	38.4	46.2	40.0
7.9	განათლება	176.9	504.7	1,062.8
7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	176.9	209.9	264.2
7.9 2	განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	0.0	294.8	798.6
7.9 2 3	საშუალო ზოგადი განათლება	0.0	294.8	798.6
7 10	სოციალური დაცვა	109.1	188.3	224.3
7 10 1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	44.3	58.6	102.4
7 10 2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	2.5	1.0	2.4
7 10 3	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	5.6	5.6	9.1
7 10 4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	29.1	34.2	45.4
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	27.6	89.0	65.0
	ს უ ლ	7,106.6	13,701.3	18,034.5

მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო



ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს -818.4 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 12,861.7 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	3,578.9	9,298.0	12,861.7
მთლიანი სალდო	-474.9	-819.4	-818.4

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს -874,0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	-474.9	-847.2	-874.0
ზრდა	0.0	14.6	0.0
ვალუტა და დეპოზიტი	0.0	14.6	0.0
კლება	474.9	861.8	874.0
ვალუტა და დეპოზიტი	474.9	861.8	874.0

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს 55.6 ათასი ლარი ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას. 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ონის მუნიციპალიტეტის სასესხო ვალდებულებები ჯამში შეადგენს 476.9 ათას ლარს, ხოლო 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იგი იქნება 389.5 ათასი ლარი.

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
ვალდებულებების ცვლილება	0.0	-27.8	-55.6
კლება	0.0	27.8	55.6
საშინაო	0.0	27.8	55.6
სესხები	0.0	27.8	55.6

თავი II

ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

მუხლი 13. პრიორიტეტების, პროგრამებისა და ქვეპროგრამების აღწერა

1. ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდო 02 00)

ონის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა მუნიციპალური



ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 13,801.7 ათასი ლარით. დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2020 წლის გეგმა
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	13,801.7
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	4,812.7
02 01 01	გზების კაპიტალური შეკეთება	4,564.7
02 01 02	გზების მიმდინარე შეკეთება	248.0
02 02	წყლის სისტემის განვითარება	1,409.4
02 02 01	წყლის სისტემების რეაბილიტაცია	1,409.4
02 02 02	წყლის სისტემების ექსპლოატაცია	-
02 03	გარე განათება	222.8
02 03 01	გარე განათება ქსელის ექსპლოატაცია	200.0
02 03 01 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	50.0
02 03 01 02	გარე განათება ელექტროენერჯის ხარჯი	150.0
02 03 02	კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში	22.8
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	552.9
02 04 01	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	55.7
02 04 02	მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	497.2
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	2,075.4
02 05 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	2,075.4
02 06	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	593.5
02 07	სოფლის პროგრამის მხარდაჭერა	738.0
02 08	სანიაღვრე არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	3,367.1
02 09	მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარება	30.0

პროგრამის დასახელება	კოდი	გზების კაპიტალური შეკეთება	2020 წლის დაფინანსება ლარებში
----------------------	------	----------------------------	-------------------------------



	02 01 01	4564.7	
პროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი ბიუჯეტით წილობრივ დაფინანსებას სოფელ ბარი-მრავალძლის მისასვლელი გზების რეაბილიტაციას ასფალტის საფარის მოწყობით. პროექტი მრავალწლიანია. განხორციელება დაიწყო 2016 წელს და გაგრძელდა მომდევნო წლებში. 2020 წელს გათვლილია 2500 მეტრი გზის ასფალტირება პროექტი 2021 წელს დასრულდება. მოსახლეობას შესაძლებლობა ექნება ისარგებლოს სრულყოფილად პროექტის შედეგით.</p> <p>პროგრამა ასევე ითვალისწინებს ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებს სოფლებში ფარავნეში, სამთისი, ფარახეთი, შარდომეთი, სევა, სორი, შეუბანი, ჟამიერეთი და სორგითში. 2019 წელს აღებული ვალდებულებების და ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგარანტიო თანხების დაფინანსებას.</p> <p>ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2019 წელს ივნისის თვეში ძლიერი წვიმების შედეგად მოდიდებულმა მდინარეებმა (მდ. რიონი, ჭანჭახი, გომბრულა, საკაურა) გამოიწვია მეწყრული პროცესების გააქტიურება და საგზაო ინფრასტრუქტურის დაზიანება, დაზიანდა მისასვლელი გზები და ხიდები, გართულებულია გადაადგილება და დარღვეულია მოძრაობის უსაფრთხოება. სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ განხორციელდება დაზიანებული გზის აღდგენა-რეაბილიტაცია სოფლებში: ღები, გლოლა, ჯინჭვისში, ხირხონისში და საცალფეხო ხიდის მოწყობა.</p> <p>პროგრამაში ასევე გათვალისწინებულია 2020 წლის 28-29 ივლისს მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული გზების, ხიდების მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოებს.</p> <p>პროგრამის მიზანია მოსახლეობა გადაადგილდეს კომფორტულად, უსაფრთხოდ და თავისუფლად სოფლის სრულ ტერიტორიაზე. გაიზარდოს სხვადასხვა პროგრამებით, სოციალური სერვისებით სარგებლობის ხარისხი და რაოდენობრივი მაჩვენებელი, რაც ცხოვრების ეკონომიკური დონის ამაღლებას შეუწყობს ხელს.</p>		
	მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა.	

პროგრამის დასახელება	კოდი	გზების მიმდინარე შეკეთება	2020 წლის დაფინანსება ლარებში
	02 01 02		248,0
პროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მიმდინარე და პრიოდულ შეკეთებას ქალაქის და სოფლის ზონების თოვლისაგან და მეწყრისაგან წმენდას და სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებს. 2019 წელს აღებული ვალდებულებების და ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგარანტიო თანხების დაფინანსებას. პროგრამაში ასევე გათვალისწინებულია 2020 წლის 28-29 ივლისს მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგად დატბორილი დაზიანებული გზების წმენდა შეკეთების სამუშაოებს.</p> <p>პროგრამის მიზანია მოსახლეობა გადაადგილდეს კომფორტულად, უსაფრთხოდ და თავისუფლად სოფლის სრულ ტერიტორიაზე. გაიზარდოს სხვადასხვა პროგრამებით, სოციალური სერვისებით სარგებლობის ხარისხი და რაოდენობრივი მაჩვენებელი, რაც ცხოვრების ეკონომიკური დონის ამაღლებას შეუწყობს ხელს.</p>		
	მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა.	



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემის რეაბილიტაცია	დაფინანსება ლარებში
	02 02 01		1409.4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ონის მუნიციპალიტეტში სოფლებში გლოლაში, ქვემო ბარში, პიპილეთში, უწერაში და სორში სასმელი წყლის სისტემების ცენტრალური მაგისტრალი და შიდა ქსელი მოძველებულია და აღარ ექვემდებარება შეკეთებას. საჭიროა აღნიშნულ სოფლებში ჩატარდეს ცენტრალური მაგისტრალის და შიდა სასოფლო ქსელის სრული რეაბილიტაცია, რომლის დაფინანსებაც მიმდინარეობს რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და წილობრივად ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში. ასევე დამატებით უნდა მოეწყოს სამარაგო რეზერვუარი და რეაბილიტაცია ჩატარდეს დაზიანებულ სათავე ნაგებობებს. ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდება სოფელ საკაოში არსებული წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია. ასევე მოხდება წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაო: სოფლებში ხირხონისი, ქორთა, სხიერი, შარდომეთი, საკაო, ცხმორი, სევა.</p> <p>პროგრამაში ასევე გათვალისწინებულია 2020 წლის 28-29 ივლისს მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული წყლის სისტემის რეაბილიტაცია.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია სოფლად მაცხოვრებელი მოსახლეობის ტექნიკურად სუფთა სასმელი წყლით უზრუნველყოფა, სოფლებში ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	გამართული სასმელი წყლის სისტემა. სოფლის მოსახლეობის უზრუნველყოფა ტექნიკურად სუფთა სასმელი წყლით, შეფერხებების გარეშე.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	2020 წლის დაფინანსება ლარებში
	02 03 01		200.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ონში და სოფლების გარკვეულ ნაწილში, გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 70%-ს. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა; ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბომბების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება; დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთება. ქვეპროგრამა ასევე მოიცავს გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას (150.0 ათ.ლარი).</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის გარე განათების ქსელით სრულად დაფარვა და გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	გარე განათებით სრულად უზრუნველყოფილი მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორია და შექმნილი კომფორტული გარემო უსაფრთხო გადაადგილებისათვის.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კაპიტალური დაზანდებები გარე განათების სფეროში	2020 წლის დაფინანსება ლარებში
	02 03 02		22.8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფლებში ფარავნეში, ნაკიეთი, შეუბანი, კომანდელი, ჭალა, წოლა, ხურუთი, სორგითი, კვაშხიეთი, სევა, ჭიბრევი დარჩენილ უბნებში გარე განათების წერტილების დამატება. ასევე დამატებული წერტილების აბონენტად აყვანის ხარჯი.
	ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის გარე განათების ქსელით სრულად დაფარვა.
მოსალოდნელი შედეგი	გარე განათებით სრულად უზრუნველყოფილი მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორია და შექმნილი კომფორტული გარემო უსაფრთხო გადაადგილებისათვის.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	2020 წლის დაფინანსება ლარებში
	02 04 01		55.7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>პროგრამა ითვალისწინებს ბინათმესაკუთრეთა საკუთრებაში არსებული ქონების რეაბილიტაციის ხელშეწყობას, რომლის ფარგლებშიც თანამონაწილეობის პრინციპით დაფინანსება სხვადასხვა ღონისძიებები მოსახლეობის განცხადებების და არსებული მდგომარეობის სიმძიმის გათვალისწინებით. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრებთან შეხვედრები მიმდინარე პროგრამების გაცნობის მიზნით. პროგრამაში ასევე გათვალისწინებულია 2020 წლის 28-29 ივლისს მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების აღდგენა-შეკეთების სამუშაოები.</p> <p>პროგრამის მიზანია არსებული პრობლემების გამოვლენა, მათი მოგვარებისათვის საჭირო გზებისა და მეთოდების ერთობლივად გადაწყვეტა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	საცხოვრებელი კორპუსების გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	2020 წლის დაფინანსება ლარებში
	02 04 02		497.2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება აღმაშენებლის მოედანზე არსებული ყოფილი მერიის შენობის დემონტაჟი, ქ.ონში არსებული სპორტული კომპლექსის ექსპლოატაციისათვის დამატებითი საჭირო სამუშაოების ჩატარება, ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის ბულვარში მდებარე კულტურის სახლის გათბობის სისტემის მოწყობის სამუშაოები და 2019 წელს ადებული ვალდებულებებისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგარანტიო თანხების დაფინანსება. პროგრამაში ასევე გათვალისწინებულია 2020 წლის 28-29 ივლისს მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოებს.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული შენობების დემონტაჟი, კეთილმოწყობილი მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა</p>		
მოსალოდნელი შედეგი	კეთილმოწყობილი მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა და საცხოვრებლად უსაფრთხო გარემო.		



პროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	2020 წლის დაფინანსება ლარებში
	02 05 01		2075.4
პროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქ. ონში საზოგადოებრივი დანიშნულების სივრცეების კეთილმოწყობა-რეაბილიტაციის პროექტი გულისხმობს სოფელ ხურუთთან გადმოსახედის, სტელა-მონუმენტის, მდინარე ჭალურასა და მდინარე რიონზე არსებული ხიდების მოაჯირებისა და განათების მოწყობის, დემეტრე მეორის მოედნის, გიგა ჯაფარიძის სახელობის სკვერის მოწყობა-რეაბილიტაციას, სხირტლადის, დ. აღმშენებლის, კახაბერის, ვახტანგ მე-6, ბააზოვის ქუჩებზე საფეხმავლო ბილიკების, ღობეების, გამწვანების ზოლების, გარე განათების მოწყობის გათვალისწინებით. პროექტის განხორციელება ითვალისწინებს ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარებას. მიმდინარე წელს გაგრძელდება აღნიშნული სამუშაოს II ეტაპი, რომლის დაფინანსება მოხდება რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონიდან და თანადაფინანსებით ადგილობრივი ბიუჯეტიდან. პროგრამის მიზანია ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური და კულტურული ცხოვრების დონის ამაღლება ასევე ხელი შეეწყობა ტურიზმისა და სხვადასხვა კერძო ბიზნესის განვითარებას. პროგრამა ასევე ითვალისწინებს გაეროს განვითარების (UNDP) ფარგლებში საგრანტო პროექტით მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის მიზნით ინფრასტრუქტურის მოწყობას.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ასევე განხორციელდება 2019 წელს აღებული ვალდებულებებისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგრანტო თანხების დაფინანსება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარება და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა; ქალაქის ტერიტორიის ლამაზი, მოვლილი და მიმზიდველი გარემო.		

პროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	2020 წლის დაფინანსება ლარებში
	02 06		593.5
პროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისათვის საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა და მიმდინარე სამუშაოების საზედამხედველო მომსახურება. პროგრამაში ასევე გათვალისწინებულია 2020 წლის 28-29 ივლისის მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული მოსახლეობის უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებისა და სახლების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა. ასევე 2019 წელს აღებული ვალდებულებებისა და ხელშეკრულების პირობებით საგრანტო თანხების დაფინანსება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	ხარისხიანი საპროექტო დოკუმენტაციის და სამუშაოების შესყიდვა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის პროგრამის მხარდაჭერის	2020 წლის დაფინანსება ლარებში
	02 07		738.0
პროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
	პროგრამით განხორციელდება დაფინანსება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხებით, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ასევე საკუთარი შემოსავლებით		



პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>წილობრივად. პროექტები შეირჩა მოსახლეობის მიერ, მოწონებული იქნა ონის მუნიციპალიტეტის სკრებულოს N5 27.02.20წ. განკარგულებით და გაიწერა შემდეგ პროექტებზე: გზების რეაბილიტაციაზე (სანიაღვრე არხებით და ნაპირსამაგრის გათვალისწინებით) და გზისპირა მოსაცდელებით სოფლებში: პატარა ღები, გონა, გლოლა, გომი, ბორცო, კომანდელი, ქრისტესი, ქორთა, სომიწო, პიპილეთი, სორგითი, ღუნდა, კვამბიეთი, ჯოსიუბანი, ხეთი, ბოყვა, ფარახეთი, გადაშში, შქმერი, ხარისთვალი, უშოლთა, მრავალძალი სულ 224000 ლარი; სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაციაზე სოფლებში: დიდი ღები, გონა, ჭიორა, ნიგავზები, ფარავნეში, ნაკიეთი, ჯინჭვისი, საკაო, მაჭიეთი, ლაგვანთა, დარი, შეუბანი, ლაჩთა, ჭალა, ნიგვზნარა, წოლა, ჟაშქვა, ონჭევი, ბაჯიხევი, ფსორი, წედისი, სხანარი, ბოყვა, ზვარეთი, ჭიბრევი, შარდომეთი, სევა, ჭვებარი, სამთისი სულ 359500 ლარი, სანიაღვრე არხების მოწყობა რეაბილიტაციაზე სოფლებში: ჭიორა, წმენდაური, ახალი ჩორდი სულ 23500 ლარი, გარე განათების მოწყობაზე სოფლებში: უწერა, ცხმორი, ზვარეთი, სორი, ზემო ბარი, ქვემო ბარი სულ 60000 ლარი, სპორტული ინფრასტრუქტურა, მოედნები და მოედნების ინვენტარზე სოფლებში: ხირხონისი, ქვედი, ქვედრულა, ირი სულ 51000 ლარი, წისკვილების რეაბილიტაცია და შესაბამისი ინვენტარზე სოფელ ხიდელში 10000 ლარი, სკვერები და სველი წერტილები შესაბამისი ინვენტარზე სოფელ ზუდალში 10000 ლარი.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>პროგრამის მიზანია გაუმჯობესებული იქნას სოფლების ინფრასტრუქტურა და სოფლად მაცხოვრებელი მოსახლეობის ყოფითი პირობების გაუმჯობესება.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა სოფლად.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სანიაღვრე არხებისა და, ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2020 წლის დაფინანსება ლარებში
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	02 08	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური	3367.1
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		<p>ქ. ონის ტერიტორიაზე უხვი ნალექის დროს არსებული სანიაღვრე სისტემები დაზიანებების გამო ვერ უზრუნველყოფს წყლის ნაკადის შეჩერებას. ხდება საგზაო ინფრასტრუქტურისა და კერძო საკარმიდამო ნაკვეთების და კომერციული ფართების დატბორვა, საფრთხე ექმნება მოქალაქეთა ჯანმრთელობას. არსებული მდგომარეობის თავიდან აცილების მიზნით საჭიროა ქ. ონის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და ახლის მოწყობას. უხვი ნალექის პირობებში სანიაღვრე სისტემებმა დაუბრკოლებლად უნდა შეძლოს ზედაპირული და ფერდობებიდან ჩამომავალი წყლის ნაკადის გატარება, რომ თავიდან ავიცილოთ ქალაქის ტერიტორიის დატბორვა და სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების დაზიანება. დაფინანსება მოხდება წილობრივად ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. ონის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხების წმენდა, რათა ჩამდინარე წყლების მართვა მოხდეს შეუფერხებლად.</p> <p>ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2019 წელს ივნისის თვეში ძლიერი წვიმების შედეგად მოდიდებულმა მდინარეებმა (მდ. რიონი, ჭანჭახი, გომბრულა, საკაურა) გამოიწვია მეწყერული პროცესების გააქტიურება, სანიაღვრე არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების დაზიანება, საფრთხე შეექმნა მისასვლელ გზებს, სასოფლო სამეურნეო სავარგულებს და საკარმიდამო ნაკვეთებს. სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ და მოსახლეობისათვის უსაფრთო გარემოს შექმნის მიზნით განხორციელდება მდინარეების კალაპოტის ფორმირება და დაზიანებული სანიაღვრე არხებისა და ნაპირსამაგრები მოწყობა- რეაბილიტაცია სოფელ ღებში, გლოლაში, ჯინჭვისში, ლაგვანთაში და ხირხონისში. ასევე მოხდება სოფელ სორში სანიაღვრე სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია.</p> <p>ასევე ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება 2020 წლის 28-29 ივლისის მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული ნაპირსამაგრების მოწყობა-რეაბილიტაცია და კალაპოტების წმენდისა და ფორმირების სამუშაოები.</p> <p>განხორციელდება 2019 წელს აღებული გალდებულებებისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგარანტიო თანხების დაფინანსება.</p>	
მოსალოდნელი შედეგი		<p>სტიქიის უარყოფითი შედეგების პრევენცია, კერძო საკარმიდამო ნაკვეთებისა და ინფრასტრუქტურული ობიექტების დაცვა. მოსახლეთა უსაფრთხო ცხოვრება, მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილება.</p>	



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარება	2020 წლის დაფინანსება ლარებში
	02 09		30.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	შპს „ონის სერვის ჯგუფი“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შპს „ონის სერვის ჯგუფი“-ს დაფინანსება მის სარგებლობის უფლებით გადაცემული ქონების, ავტოტრანსპორტის აღდგენა რეაბილიტაციისათვის		
მოსალოდნელი შედეგი	გამართული ავტოტრანსპორტით მომსახურება, შპს-ს მოგებაზე ორიენტირება		

2. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 410.0 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2020 წლის პროექტი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	410.0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	350.0
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	50.0
03 03	უპატრონო ცხოველების თავშესაფარში გადაყვანის ღონისძიებები	10.0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2020 წლის დაფინანსება ლარებში
	03 01		350.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ონში და მუნიციპალიტეტის სოფლებში დასუფთავებისა და მასთან დაკავშირებული მომსახურებას; მოხდება შეგროვილი ნარჩენების ტრანსპორტირება ნაგავსაყრელ პოლიგონზე, ტერიტორია სადაც დგას ბუნკერები დღის განმავლობაში მუდმივად დასუფთავდება, დაცული იქნება მოედნების და სკვერების გამწვანების ზოლი ცხოველების დაზიანებისაგან, ასევე მოხდება დასუფთავების მოსაკრებლის ამოღების ორგანიზება ქალაქ ონის მოსახლეობიდან, ეტაპობრივად დასუფთავების არეალი გაიზრდება.		



მოსალოდნელი შედეგი	დასუფთავებული, უსაფრთხო და ეკოლოგიურად სუფთა გარემო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.
--------------------	--

პროგრამის დასახელება	კოდი	მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობა, განვითარება	2020 წლის დაფინანსება ლარებში
	03 02		50.0
პროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ხორციელდება ქალაქ ონში ასებულ სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიები: ნიადაგის მომზადება, დასუფთავება, ერწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა. ქვეპროგრამის მიზანია მოსახლეობის და ვიზიტორების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, კარგად მოვლილი პარკებისა და სარეკრიაციო ზონების მეშვეობით.		
მოსალოდნელი შედეგი	ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარება და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა; ქალაქის ტერიტორიის ლამაზი, მოვლილი და მიმზიდველი გარემო.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	უპატრონო ცხოველების თავშესაფარში გადაყვანის ღონისძიება	2020 წლის დაფინანსება ლარებში
	03 03		10.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ხორციელდება ონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებში არსებული უმეტესაქყურეოდ დარჩენილი ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა.		
მოსალოდნელი შედეგი	უსაფრთხო გარემო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.		

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1,062.8 ათასი ლარი. განათლების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2020 წლის პროექტი
04 00	განათლება	1,062.8
04 01	სკოლამდელი განათლება	264.2



04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	315.8
04 03	განათლების ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა	404.2
04 04	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	78.6

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი განათლება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარებში
	04 01		264.2
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ბაგა-ბაღი მიზნად ისახავს სკოლამდელი ასაკის ბავშვების ჰოლისტურ განვითარებას, ინკლუზიურ განათლებას, აღსაზრდელების უსაფრთხოებასა და საუკეთესო ინტერესების დაცვას, სტანდარტის შესრულების გაძლიერებას, ბავშვთა სკოლისათვის მომზადებას. აღზრდელების ახალი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად გადამზადებას და ავტორიზაციისათვის მომზადებას. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 1 ბაგა-ბაღი სადაც დღეის მდგომარეობით შესაძლებელია 140 ბავშვის სწავლებს, სოფელ გოლოლაში სკოლამდელი განათლების ცენტრის კვებით უზრუნველყოფა, ხოლო სოფელ ლებში, უწერაში და პიპილეთში სკოლამდელი განათლების ცენტრი 3 საათიანი ფუნქციონირებით. სულ სკოლამდელ დაწესებულებაში დასაქმებულია 40 თანამშრომელი. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი საამღზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება.</p> <p>პროგრამის მიზანია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ხარისხიანი საამღზრდელო და საგანმანათლებლო პროცესისათვის ხელის შეწყობა; საგანმანათლებლო და საამღზრდელო პროცესის გაუმჯობესების მიზნით აღზრდელების კვალიფიკაციის ამაღლება; ასევე პროგრამის მიზანია ბავშვების ოპტიმალური ზრდისა და განვითარების უზრუნველსაყოფად შესაფერისი გარემოს შექმნა, რაც გულისხმობს სტანდარტის შესაბამისი უსაფრთხო გარემოსა და დაცულ სანიტარულ ჰიგიენური ნორმებს. ახალი მაღალი ხარისხის აღჭურვილობის შექმნა/მონტაჟს და ავტორიზაციისათვის მომზადებას.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	შესაფერისი უნარჩვევებით უზრუნველყოფილი მუნიციპალიტეტში მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ბავშვები; გაუმჯობესებული საამღზრდელო პროცესი, სტანდარტების შესაბამისი კვალიფიცირებული (სერტიფიცირებული) აღზრდელები; სტანდარტების შესაბამისი კვება, უსაფრთხო გარემო და დაცული ჰიგიენური ნორმები.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია-მშენებლობა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარებში
	04 02		315.8
პროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქ ონში არსებული საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სარეკონსტრუქციო სამუშაოებს.</p> <p>პროგრამის მიზანია რეაბირტირებული იქნას მუნიციპალიტეტში არსებული საბავშვო ბაღი.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	რეაბილიტირებული და სწავლისთვის შესაფერისი პირობების მქონე საბავშვო ბაღი.		



პროგრამის დასახელება	კოდი	განათლების ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარებში
	04 03		404.2
პროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამით გათვალისწინებულია 3 საჯარო სკოლის (სოფელ ღები, ჭიორა და პიპილეთში) სარეაბილიტაციო სამუშაოები. სახურავის, სველი წერტილებისა და გათბობის სისტემის მოწყობას სამუშაოები განხორციელდება ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ასევე განხორციელდება 2019 წელს აღებული ვალდებულებების დასრულება.		
	პროგრამის მიზანია რეაბირტირებული იქნას მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო სკოლები.		
მოსალოდნელი შედეგი	რეაბილიტირებული და სწავლისთვის შესაფერისი პირობების მქონე საჯარო სკოლები.		

პროგრამის დასახელება	კოდი	საჯარო სკოლების მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარებში
	04 04		78.6
პროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამით გათვალისწინებულია სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა ისეთი სოფლებიდან, სადაც არ არის საჯარო სკოლა, ბავშვების გადაყვანას ახლო მდებარე საჯარო სკოლებში და მათ უკან სახლში დაბრუნებას. ასევე განხორციელდება 2019 წელს აღებული ვალდებულებების დასრულება.		
	სკოლის მოსწავლეებისთვის საშუალო განათლების მიღების ხელმისაწვდომობა.		
მოსალოდნელი შედეგი	გაზრდილი საჯარო სკოლებში მოსიარულე მოსწავლეთა ხელმისაწვდომობა.		

4. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 586.4 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2020 წლის პროექტი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	586.4
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	142.0



05 01 01	ა(ა)იპ ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი	142.0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	368.9
05 02 01	სახელოვნებო სკოლის ხელშეწყობის ღონისძიებები	73.7
05 02 01 01	ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა	35.6
05 02 01 02	ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა	38.1
05 02 02	კულტურის ცენტრის დაფინანსების ღონისძიებები	100.9
05 02 03	მუზეუმის ფუნქციონირების ხელშეწყობის ღონისძიებები	55.9
05 02 04	ბიბლიოთეკის დაფინანსების ღონისძიებები	65.5
05 02 05	ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული საინფორმაციო ცენტრი	34.0
05 02 06	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	38.9
05 03	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	40.0
05 04	მოსწავლე ახალგაზრდობის ღონისძიებების დაფინანსება	35.5

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01		142.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სასპორტო სკოლის კომპლექსი აერთიანებს 3 სპორტულ მიმართულებას, ესენია: ფეხბურთი (48 ბავშვი); თავისუფალი ჭიდაობა (24 ბავშვი); ქართული ჭიდაობა (7 ბავშვი); ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (14 ბავშვი); კალათბურთი (19 ბავშვი) . სულ კომპლექსში სპორტის სახეობებს ეუფლება 112 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 4-ჯერ. კომპლექსში დასაქმებულია ჯამში 27 ადამიანი. კომპლექსის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საზღვარგარეთ.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩაბმა სპორტულ აქტივობებში, ბავშვებისა და მოზარდების მეთოდური აღზრდა/დაოსტატება; - მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.სპორტული ღონისძიებების მაღალ დონეზე ჩატარება. 		
მოსალოდნელი შედეგი	სპორტული წრეებით სარგებლობის მაქსიმალური ხელმისაწვდომობა; ჯანსაღი ცხოვრების წესით დაკავებული ახალგაზრდობა; წარმატებული სპორტსმენები და მუნიციპალიტეტის ნაკრები გუნდები სპორტის სხვადასხვა სფეროში.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01		



	01		35.6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლა სადაც დაწყებით სამუსიკო განათლებას იღებს ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 40 ბავშვი, აქედან საფორტეპიანოს განყოფილებაზე ირიცხება 24 მოსწავლე, კლასიკური გიტარის სწავლას ეუფლება 16 მოსწავლე, ასევე ბავშვები სწავლობენ თეორიულ საგნებს. სამუსიკო სკოლაში დასაქმებულია 10 თანამშრომელი.</p> <p>სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; სიმღერის, ფოლკლორის, სხვადასხვა ინსტრუმენტებზე შემსწავლელი წრეები ჩამოყალიბება; კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე. მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	სამუსიკო დაწყებით განათლებაზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა; კულტურულ ღონისძიებებში, კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილთა გაზრდილი მაჩვენებელი.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 02		38.1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა		
	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამხატვრო სკოლა სადაც განათლებას იღებს ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 61 ბავშვი, რომელთა გადასახადი თითოეულ ბავშვზე შეადგენს 8 ლარს. სამხატვრო სკოლაში ბავშვები ეუფლებიან ფერწერას, ხატვას, კომპოზიციას, მერწვას, თექას, ბატიკას, ხის მხატვრულ დამუშავებას, ფოტოხელოვნებას. სკოლაში სულ დასაქმებულია 9 თანამშრომელი.</p> <p>სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული მხატვრობის ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე; ფასიანი, საქველმოქმედო ღონისძიებების მოწყობა; მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, ფორუმებში როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	სამხატვრო განათლებაზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა; კულტურულ ღონისძიებებში, კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილთა გაზრდილი მაჩვენებელი.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ცენტრის დაფინანსების ღონისძიებები	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 02		100.9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლი		
	<p>კულტურის სახლში მოქმედებს სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის 5 შემოქმედებითი წრე: ქორეოგრაფიული, საესტრადო, ქართული სალხური სიმღერის შემსწავლელი, ქართული ხალხური ინსტრუმენტების - ფანდურის შემსწავლელი და ქართული ხალხური ინსტრუმენტების - სტვირის შემსწავლელი წრე. სულ წრეებში გაწევრიანებულია 179 ბავშვი. კულტურის სახლში დასაქმებულია 42</p>		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ადამიანი. ანსამბლები მონაწილეობას იღებენ საქართველოს მასშტაბით გამართულ სხვადასხვა ღონისძიებასა და ფესტივალებში.
